

შპს „კურორტი საირმე“
ფინანსური ანგარიშგება
აუდიტის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	7
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ.....	8
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ.....	9
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ.....	10
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება.....	20
4. არსებითი ფინანსური ანგარიშგებები:	
4.1 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	21
4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	22
4.4 ძირითადი საშუალებები.....	22
4.5 არამატერიალური აქტივები.....	23
4.6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	24
4.7 საგადასახადო ვალდებულებები.....	24
4.8 მიღებული სესხები	25
4.9 კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება.....	25
4.10 ამონაგები.....	25
4.11 პროდუქციის თვითღირებულება.....	26
4.12 ხარჯები.....	26
4.13 მოგება განაწილებამდე.....	27
მმართველობის ანგარიშგება	
1. შესავალი.....	28
2. წარდგინება დირექტორისაგან.....	28
3. კომპანიის შესახებ.....	29
4. კომპანიის საქმიანობა.....	29
5. შიდა სტრუქტურა.....	33
6. სამომავლო გეგმები.....	34
7. რისკ-ფაქტორები.....	35



ელიტაუდიტი

ELITAUDIT

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კურორტი საირმე“-ს

დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კურორტი საირმე“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) შესაბამისად ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია კომპანიის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის

გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს

გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დირექტორი:

თამაზ კვინიკაძე

პარტნიორი:

ნადია ბალანჩივაძე

შპს „ელიტაუდიტი“

25 სექტემბერი 2018 წელი

გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დირექტორი:

თამაზ კვინიკაძე

პარტნიორი:

ნადია ბალანჩივაძე

შპს „ელიტაუდიტი“

25 სექტემბერი 2018 წელი

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	18 855	26 689	22 533
გადახდილი ავანსები	145 162	27 178	27 178
გაცემული სესხები	19 712	19 712	23 712
მიმდინარე მარაგები	374 999	315 170	295 318
სავაჭრო მოთხოვნები	202 785	373 160	494 608
სხვა საგადასახადო აქტივი	52 153	54 847	1 362
სხვა მიმდინარე აქტივები	7 693	7 375	2 738
სხვა არამატერიალური აქტივები	65 880	73 540	69 316
ძირითადი საშუალებები	48 473 786	47 151 841	47 248 969
სულ აქტივები	49 361 024	48 049 511	48 185 736
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	887 285	350 762	253 694
სხვა ფინანსური ვალდებულებები	194 090	8 209	1 135 624
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1 514 750	702 000	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11 122 735	12 196 592	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4 032	21 344	12 147
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	34 569	73 311	77 296
სულ ვალდებულებები	13 757 461	13 352 218	1 478 761
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	44 253 112	43 922 334	43 713 036
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-8 649 549	-9 225 041	2 993 939
სულ საკუთარი კაპიტალი	35 603 563	34 697 293	46 706 975
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	49 361 024	48 049 511	48 185 736

დირექტორი:

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:

დავით ყიფიანი

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	18 855	26 689	22 533
გადახდილი ავანსები	145 162	27 178	27 178
გაცემული სესხები	19 712	19 712	23 712
მიმდინარე მარაგები	374 999	315 170	295 318
სავაჭრო მოთხოვნები	202 785	373 160	494 608
სხვა საგადასახადო აქტივი	52 153	54 847	1 362
სხვა მიმდინარე აქტივები	7 693	7 375	2 738
სხვა არამატერიალური აქტივები	65 880	73 540	69 316
ძირითადი საშუალებები	48 473 786	47 151 841	47 248 969
სულ აქტივები	49 361 024	48 049 511	48 185 736
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	887 285	350 762	253 694
სხვა ფინანსური ვალდებულებები	194 090	8 209	1 135 624
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1 514 750	702 000	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11 122 735	12 196 592	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4 032	21 344	12 147
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	34 569	73 311	77 296
სულ ვალდებულებები	13 757 461	13 352 218	1 478 761
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	44 253 112	43 922 334	43 713 036
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-8 649 549	-9 225 041	2 993 939
სულ საკუთარი კაპიტალი	35 603 563	34 697 293	46 706 975
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	49 361 024	48 049 511	48 185 736

დირექტორი:

(Handwritten signature)

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:

(Handwritten signature)

დავით ყიფიანი

SAIRME
Hotels & Resorts
GEORGIA 1000, BAGHDATI REGION, RESORT SAIRME
LLC SAIRME RESORT, ID: 225058576
info@sairmeresort.ge www.sairmeresort.ge

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

საქმიანობის შედეგები	31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	5047054	4883772
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-1099077	-1057926
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-1154150	-1112219
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-96607	-40840
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-80539	-80962
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	-34578	-502044
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-342955	-309920
იჯარის ხარჯი	-37107	-5655
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-33470	-30243
ცვეთა და ამორტიზაცია	-693072	-591052
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-433361	-395186
საოპერაციო მოგება	1042139	757724
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	10857	17783
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	877358	13092
სხვა ფინანსური ხარჯი	-1314884	-16297
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-39978	799919
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	575492	1572220
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	575492	1572220
მოგება/(ზარალი)	575492	1572220
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	575492	1572220

დირექტორი:

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:

დავით ყიფიანი

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

საქმიანობის შედეგები	31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	5047054	4883772
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-1099077	-1057926
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-1154150	-1112219
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-96607	-40840
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-80539	-80962
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	-34578	-502044
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-342955	-309920
იჯარის ხარჯი	-37107	-5655
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-33470	-30243
ცვეთა და ამორტიზაცია	-693072	-591052
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-433361	-395186
საოპერაციო მოგება	1042139	757724
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	10857	17783
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	877358	13092
სხვა ფინანსური ხარჯი	-1314884	-16297
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-39978	799919
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	575492	1572220
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	575492	1572220
მოგება/(ზარალი)	575492	1572220
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	575492	1572220

დირექტორი:

 **SAIRME**
Hotels & Resorts

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:


GEORGIA 1000, BACHUKHIDZE, RESORT SAIRME
ID: 225058576
www.sairmeresort.ge

დავით ყიფიანი

შპს "კურორტი საირმე"

ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

კაპიტალის მოძრაობა	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2015	43 713 036	2 993 939	46 706 975
მოგება/(ზარალი)		1 572 220	1 572 220
კაპიტალის გაზრდა	209 298		209 298
საწარმოთა გაერთიანება		-13 791 200	-13 791 200
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	43 922 334	-9 225 041	34 697 293
მოგება/(ზარალი)		575 492	575 492
კაპიტალის გაზრდა	330 778		330 778
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	44 253 112	-8 649 549	35 603 563

დირექტორი:

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:

დავით ყიფიანი

შპს "კურორტი საირმე"

ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

კაპიტალის მოძრაობა	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2015	43 713 036	2 993 939	46 706 975
მოგება/(ზარალი)		1 572 220	1 572 220
კაპიტალის გაზრდა	209 298		209 298
საწარმოთა გაერთიანება		-13 791 200	-13 791 200
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	43 922 334	-9 225 041	34 697 293
მოგება/(ზარალი)		575 492	575 492
კაპიტალის გაზრდა	330 778		330 778
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	44 253 112	-8 649 549	35 603 563

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:


SAIRI
Hotels & Res
GEORGIA 1000, BAGHDATI REGION, T
LLC SAIRME RESORT, ID: 2250
info@sairmeresort.ge www.sc

თორნიკე მდივნიშვილი

დავით ყიფიანი

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	2017 წელი	2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე წლის მოგება	575 492	1 572 220
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	693 072	591 052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	170 375	121 449
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	-59 829	-19 852
სხვა საგადასახადო აქტივის შემცირება (ზრდა) (+/-)	2 694	-53 485
სხვა მიმდინარე აქტივების შემცირება (ზრდა) (+/-)	-318	-4 637
გადახდილი ავანსების შემცირება (ზრდა) (+/-)	-117 984	0
გაცემული სესხები შემცირება (ზრდა) (+/-)	0	4 000
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	536 522	97 068
სხვა ფინანსური ვალდებულებები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	185 881	-1 127 414
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	-17 312	9 197
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	-38 741	-3 985
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 929 852	1 185 614
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მანქანა-დანადგარების შეძენა	-2 007 357	-498 148
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-2 007 357	-498 148
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	330 778	209 298
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	812 750	702 000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-1 073 857	12 196 592
შერწყმის შედეგად გადმოტანილი ზარალი	0	-13 791 200
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	69 671	-683 310
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	-7 834	4 155
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	26 689	22 533
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18 855	26 689
 დირექტორი:	 თორნიკე მდივნიშვილი	
მთ. ბუღალტერი:	დავით ყიფიანი	

შპს "კურორტი საირმე"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	2017 წელი	2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე წლის მოგება	575 492	1 572 220
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	693 072	591 052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	170 375	121 449
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	-59 829	-19 852
სხვა საგადასახადო აქტივის შემცირება (ზრდა) (+/-)	2 694	-53 485
სხვა მიმდინარე აქტივების შემცირება (ზრდა) (+/-)	-318	-4 637
გადახდილი ავანსების შემცირება (ზრდა) (+/-)	-117 984	0
გაცემული სესხები შემცირება (ზრდა) (+/-)	0	4 000
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	536 522	97 068
სხვა ფინანსური ვალდებულებები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	185 881	-1 127 414
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	-17 312	9 197
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	-38 741	-3 985
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 929 852	1 185 614
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მანქანა-დანადგარების შეძენა	-2 007 357	-498 148
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-2 007 357	-498 148
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	330 778	209 298
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	812 750	702 000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-1 073 857	12 196 592
შერწყმის შედეგად გადმოტანილი ზარალი	0	-13 791 200
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	69 671	-683 310
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	-7 834	4 155
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	26 689	22 533
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18 855	26 689

დირექტორი:


SAIRME
Hotels & Resorts
GEORGIA 1000, BACHKAL REGION, RESORT SAIRME
LLC SAIRME RESORT, ID: 2250540-9
info@sairmeresort.ge

თორნიკე მდივნიშვილი

მთ. ბუღალტერი:

დავით ყიფიანი

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კურორტი საირმე“, საიდენტიფიკაციო ნომერი 225058576, დარეგისტრირებულია საქართველოში, 1998 წლის 8 სექტემბრიდან.

კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ბაღდათის რაიონი, კურორტი საირმე. მისი ძირითადი საქმიანობაა: სამედიცინო,

საკურორტო-სანატორიული, სასტუმროს მომსახურება; კაფე-რესტორანები, სარეაბილიტაციო ცენტრი, საცურაო აუზები.

საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი 2011 წლის 23 თებერვლამდე იყო სახელმწიფო. აღნიშნული პერიოდიდან 2016 წლის 29 დეკემბრამდე საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „საირმის განვითარების კომპანია“ (ს/ნ 202458054). 2016 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა შპს „საირმის განვითარების კომპანია“-ს შერწყმა შპს „კურორტი საირმე“-სთან. შერწყმის შედეგად მოხდა საზოგადოების პარტნიორთა შეცვლა - შპს „კურორტი საირმე“-ში მთლიანი წილის (100%) მფლობელი გახდა თემურ კოხოძე (პ/ნ 42001000456). საწესდებო კაპიტალის ოდენობის ცვლილება განისაზღვრება კრების ჩატარებით და მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი კრების ოქმით. 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა - 44 253 112 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2017 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა - 317 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2018 წლისათვის კი - 321 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

ამონაგების აღიარება

ორგანიზაციაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება არსებული სეგმენტებიდან ელექტრონული პროგრამების მონაცემების მიხედვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყოველდღიურად, დარიცხვის მეთოდით. ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

საზოგადოება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგვრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. ზემოდ აღწერილი გარემოებებით მსს ფასს სტანდარტზე გადასვლას არ გამოუწვევია ფინანსური ანგარიშგების შესადარის მაჩვენებლებში ცვლილებები. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყველა ძირითადი საშუალებებზე წლიური ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- | | |
|---|--------------|
| • შენობები და ნაგებობები | 10 - 70 წელი |
| • მანქანა დანადგარები | 3 - 50 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი | 2 - 30 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 - 10 წელი |

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებების ბალანსიდან მოხსნა ხდება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებისაგან, კომპიუტერული პროგრამებისაგან და სხვა არამატერიალური აქტივებისგან. ლიცენზიებსა და კომპიუტერულ პროგრამებზე ცვეთა დარიცხულია სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. მათზე ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- | | |
|--------------|---------|
| • ლიცენზიები | 25 წელი |
|--------------|---------|

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

-
- კომპიუტერული პროგრამები 5-12 წელი

ცვეთის დარიცხვა სხვა არამატერიალურ აქტივებზე ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 10%-იანი განაკვეთის საფუძველზე.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. მეიჯარე საწარმო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით. მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე, ხოლო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში და მიეკუთვნება ძირითადი საშუალებიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან.

სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

- 1) ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
- 2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
- 3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება; მაღალი ფასით პროდუქციის შეძენის შემთხვევების გადამოწმება საკონტროლო შესყიდვებით ან ბაზრის წინასწარი შესწავლის გზით;
- 4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
- 5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი;

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველაწარმოადგენს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ საზოგადოების გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. რადგან შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2018 წლის 20 აგვისტოს N22551 ბრძანების საფუძველზე, კომპანიაში მიმდინარეობს გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომელიც მოიცავს 2015 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდს, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2017	ნაშთი 31.12.2016
1	შპს გრუპ თენი	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემძენა	-148	164550
2	შპს გრუპ თენი	მიღებული სესხი	170000	0
3	შპს საირმის საცხოობი	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემძენა	85213	39134

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4	შპს თეგეტა მოტორსი	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემდენა	-465390	-77075
5	შპს თეგეტა მოტორსი	მიღებული სესხი	1344750	741881
6	შპს თეგეტა მოტორსი	გადასახდელი პროცენტი	82688	25016
7	შპს თეგეტა თრაქ ენდ ბასს	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემდენა	-13970	-17352
8	შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემდენა	-1724	-40143
9	შპს თეგეტა ვიიქელს	საქონლის/მომსახურების მიწოდება/შემდენა	0	0
	ჯამი		1201420	836011

	დასახელება	ოპერაციის სახე	თანხა 2017 წელი	თანხა 2016 წელი
1	შპს გრუპ თენი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	0	11937
2	შპს გრუპ თენი	მიღებული სესხი	170000	0
3	შპს საირმის საცხოზი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	14217	30573
4	შპს საირმის საცხოზი	საქონლის/მომსახურების შემდენა	53751	75419
5	შპს თეგეტა მოტორსი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	81545	50683
6	შპს თეგეტა მოტორსი	საქონლის/მომსახურების შემდენა	393958	85145
7	შპს თეგეტა მოტორსი	მიღებული სესხი	886458	765881
8	შპს თეგეტა მოტორსი	დარიცხული პროცენტი	92093	25016
9	შპს თეგეტა თრაქ ენდ ბასს	საქონლის/მომსახურების შემდენა	0	179
10	შპს თეგეტა თრაქ ენდ ბასს	საქონლის/მომსახურების მიწოდება	3382	0
11	შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	საქონლის/მომსახურების მიწოდება	20028	53956
12	შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	საქონლის/მომსახურების შემდენა	32969	126502
13	შპს თეგეტა ვიიქელს	საქონლის/მომსახურების მიწოდება	3113	0
	ჯამი		1751515	1225290

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სეზ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი, 31 დეკემბერი,	
	2017 წ.	2016 წ.
ლარი/აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/ ევრო	3.1044	2.7940
ლარი/აზერბაიჯანული მანათი	1.5249	1.4678

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად,

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ. კონტროლი - გეგმის ფაქტობრივად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას.

შეფასება - გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით, ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. გაირკვეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი - დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

4. არსებითი ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)

4.1 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
ფულადი სახსრები სალაროში	874	11 331	19 635
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	17 980	15 358	2 899
სულ:	18 855	26 689	22 534

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	202 785	373 160	494 588
გაცემული სესხები	19 712	19 712	23 712
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	7 693	7 375	2 758
გადახდილი ავანსები	145 162	27 178	27 178
გადავადებული საგადასახადო აქტივი	52 153	54 847	1 362
სულ:	427 505	482 272	549 598

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
სამეურნეო საქონელი	168 360	155 735	121 710
საკვები პროდუქტები	26 792	16 718	23 992
ჰიგიენური საშუალებები	41 430	32 694	29 521
სამედიცინო საშუალებები	10 339	13 572	17 962
საწვავი	4 585	3 584	2 813
სხვა საქონელი	123 492	92 867	77 501
სამშენებლო მასალები	0	0	21 819
სულ:	374 999	315 170	295 318

4.4 ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2016	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2015
	შემენის ღირებულება							
1	მიწა	33 544 406	0	0	33 544 406	12 806 370	-12 859 668	33 597 704
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	880 181	1 302 440	-424 951	2 692	254 174	-255 602	4 120
3	შენობა-ნაგებობა	13 041 403	383 176	0	12 658 227	229 901	0	12 428 326
4	მანქანა-დანადგარები	2 110 153	172 788	0	1 937 364	183 223	0	1 754 141

საადრეცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	2 169 131	462 552	0	1 706 579	92 536	0	1 614 043
6	სატრანსპორტო საშუალებები	254 907	125 425	-48 045	177 526	125 757	-61 554	113 323
	ჯამი	52 000 180	2 446 381	-472 996	50 026 795	13 691 961	-13 176 825	49 511 658

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2016	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2015
	ცვეთა							
1	მიწა	0	0	0	0	0	0	0
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	0	0	0	0	0	0	0
3	შენობა-ნაგებობა	1 469 849	276 657	0	1 193 192	230 442	0	962 751
4	მანქანა- დანადგარები	829 600	166 470	0	663 130	143 070	0	520 060
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 159 139	219 637	0	939 502	217 278	0	722 225
6	სატრანსპორტო საშუალებები	67 805	22 648	-33 972	79 129	22 501	-1 026	57 653
	ჯამი	3 526 394	685 412	-33 972	2 874 953	613 291	-1 026	2 262 688
	საბალანსო ღირებულება	48 473 786			47 151 841			47 248 970

4.5 არამატერიალური აქტივები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2016	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2015
	შემოსვის ღირებულება							
1	ლიცენზიები	35 979	0	0	35 979	0	0	35 979
2	პროგრამები	46 883	0	0	46 883	0	0	46 883
3	სხვა არამატერიალური აქტივები	18 671	0	0	18 671	11 171	0	7 500

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

	ჯამი	101 534	0	0	101 534	11 171	0	90 362
--	-------------	----------------	----------	----------	----------------	---------------	----------	---------------

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2016	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2015
	ცვეთა							
1	ლიცენზიები	8 936	1 439	0	7 496	1 439	0	6 057
2	პროგრამები	23 834	4 472	0	19 362	4 373	0	14 989
3	სხვა არამატერიალური აქტივები	2 884	1 749	0	1 135	1 135	0	0
	ჯამი	35 654	7 660	0	27 994	6 947	0	21 047
	საბალანსო ღირებულება	65 880			73 540			69 315

4.6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
ვალდებულებები შეძენილი საქონლიდან და მომსახურებიდან	887 285	350 762	253 694
მიღებული ავანსები	4 032	21 344	8 742
გადასახდელი ხელფასები	34 569	73 311	77 296
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	0	3 406
გადასახდელი პროცენტები აღებულ სესხებზე	188 254	25 016	0
სულ:	1 114 140	470 433	343 137

4.7 საგადასახადო ვალდებულება

	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
საგადასახადო ვალდებულება	5 836	-16 806	1135624
სულ:	5 836	-16 806	1 135 624

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4.8 მიღებული სესხები

სესხის გამცემი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
შპს თეგეტა მოტორსი	1 344 750	741 881	0
თიბისი ბანკი	10 633 000	11 541 976	0
საპარტნიორო ფონდი	489 735	614 735	0
შპს გრუპ თენ	170 000	0	0
	12 637 485	12 898 592	0

4.9 კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	44 253 112	43 922 334	43 713 036
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	-8 649 549	-9 225 041	2 993 939
სულ:	35 603 563	34 697 293	46 706 975

4.10 ამონაგები**საოპერაციო შემოსავლები**

შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
შემოსავლები სასტუმროებიდან	4 206 046	4 095 325
შემოსავლები სარეაბილიტაციო მომსახურებიდან	431 177	403 519
შემოსავლები რესტორნებიდან	228 345	190 232
შემოსავლები სამედიცინო საქმიანობიდან	107 604	152 216
შემოსავლები იჯარიდან	38 397	29 988
სხვა საოპერაციო შემოსავლები	35 484	12 491
სულ:	5 047 054	4 883 772

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

არასაოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	24 930	140 662
ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	1 400 933	24 010
ჩუქებით მიღებული შემოსავალი	2 612	1 143
საგადასახადო შეთანხმება	0	777 285
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 348	24 517
სულ:	1 430 824	967 617

4.11 პროდუქციის თვითღირებულება

შესყიდული მარაგები შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების თვითღირებულებისაგან:

სამეურნეო საქონელი, საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები, სამედიცინო საშუალებები, საწვავი და სხვა საქონელი :

შესყიდული მარაგები

	2017 წელი	2016 წელი
სამეურნეო საქონელი	53 869	88 969
საკვები პროდუქტები	826 359	760 057
ჰიგიენური საშუალებები	79 852	69 747
სამედიცინო საშუალებები	32 295	41 742
საწვავი	97 437	76 859
სხვა საქონელი	9 267	20 552
სულ:	1 099 077	1 057 926

4.12 ხარჯები**საოპერაციო ხარჯები**

დანახარჯები	2017 წელი	2016 წელი
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	1 154 150	1 112 219
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	96 607	40 840
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	80 539	80 962

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	34 578	502 044
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	342 955	309 920
იჯარის ხარჯი	37 107	5 655
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	33 470	30 243
ცვეთა და ამორტიზაცია	693 072	591 052
ტურისტული მომსახურების ხარჯი	149 884	147 454
საკანცელარიო ხარჯი	5 459	5 493
მიმდინარე რემონტის ხარჯი	53 802	45 290
ბანკის საკომისიო	49 926	15 253
სამიწვლინებო ხარჯი	19 251	11 714
დაზღვევის ხარჯი	13 678	12 991
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	141 362	156 990
სულ ხარჯები:	2 905 838	3 068 122

არასაოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2017 წელი	2016 წელი
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	14 073	122 880
ვალუტის გადაფასებით მიღებული ხარჯი	523 575	10 919
სესხის პროცენტი	1 314 884	16 297
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	44 939	3 025
სულ ხარჯები:	1 897 471	153 121

4.13 მოგება განაწილებამდე

შედეგი	2017 წელი	2016 წელი
სულ შემოსულობა	6 477 878	5 851 389
სულ ხარჯები	-5 902 386	-4 279 169
სულ მოგება:	575 492	1 572 220

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 25 აგვისტოს.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „კურორტი საირმე“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

3. კომპანიის შესახებ

შპს „კურორტი საირმე“ დაფუძნდა 1998 წლის 8 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია არის: საქართველო, ბაღდათის რაიონი, კურორტი საირმე. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია თემურ კოხობე (პ/ნ 42001000456). ამჟამად კომპანიის დირექტორია თორნიკე მდივნიშვილი (პ/ნ 01027062731).

4. კომპანიის საქმიანობა

საირმე მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. საირმე არის სამთო-ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც გარშემორტყმულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით, მათ შორის ფიჭვის, ნაძვის, წიფელის, ცაცხვისა და წაბლის ასწლოვანი ხეებით.

1920-იან წლებში თერმული აზოტიან-მეთანიანი, სუსტად სულფიდური მინერალური წყლების აღმოჩენის შემდეგ, საირმეს ოფიციალურად მიენიჭა კურორტის სტატუსი. მოგვიანებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საირმის წყალი სამკურნალო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ დროისთვის უკვე სახელგანთქმულ სხვა მინერალურ წყლებს. საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და გზის გაყვანის შემდეგ, 1945 წელს, სახელმწიფომ დაიწყო წყლის ქარხნული წესით ბოთლში ჩამოსხმა.

საირმე ცნობილია კურორტის კაჟიანი, ბორიანი, რკინიანი მინერალური წყლებით, რომლებიც კონკრეტული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. მინერალური წყლების აბაზანები და დაღევა სასარგებლო თერაპიაა. წყლები დადებითად მოქმედებენ შემდეგ დაავადებებზე: გინეკოლოგიური და უროლოგიური, თირკმელების, კუჭნაწლავის ტრაქტის და ღვიძლის, სხვადასხვა ქრონიკული და ანთებითი დაავადებები, ჰეპატიტი, ქოლერისტიტი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

ამჟამად, საირმის კურორტის ტერიტორიაზე 3 მოქმედი სასტუმროა: სასტუმრო საირმე - 152 ნომრით, სასტუმრო იმერეთი - 106 ნომრით და სასტუმრო უდაბნო - 81 ნომრით (სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრის ახლოს)

1. სასტუმროს ნომრები

- ორადგილიანი ნომერი - 67
- სამადგილიანი ნომერი - 68
- აპარტამენტი - 21
- საბილიარდო
- სატრენაჟორო დარბაზი

ნომრების აღჭურვილობა:

- პლაზმური ტელევიზორი
- საკაბელო ტელევიზია
- სწრაფი ინტერნეტი
- ტელეფონი
- ჰიგიენური საშუალებები
- სხვა აქსესუარები

2. საკონფერენციო დარბაზი:

კურორტ საირმეში შესაძლებელია რომ მოეწყოს წარმატებული საქმიანი შეხვედრა ან წვეულება.

სასტუმროში ფუნქციონირებს:

- 2 საკონფერენციო დარბაზი. თითოეულის ტევადობა 100-120 ადამიანი (თეატრალური წყობით)
- 2 შეხვედრის ოთახი. თითოეულის ტევადობა - 20-25 ადამიანი

საკონფერენციო სივრცეების აღჭურვილობა:

- პროექტორი, პროექტორის ეკრანი
- ლეპტოპი
- აუდიო სისტემა (მიკროფონები, ხმამაღლა მოლაპარაკე)
- საკანცელარიო ნივთები

3. სასტუმრო საირმის კაფეტერია

კურორტი საირმის კაფეტერიაში მოცემულია კერძების ფართო ასორტიმენტი, ყველა კერძი მზადდება ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისგან. მენიუში

შპს „კურორტი საირმე“ მმართველობის ანგარიშგება

შემავალი პურ-ფუნთუშეული და ტკბილეული მზადდება კურორტის ტერიტორიაზე არსებულ საცხობში

4. ქართული რესტორანი

კურორტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ქართული რესტორანი ტრადიციული ქართული კერძების ფართო არჩევანით, ღია ტერასით და შესანიშნავი ატმოსფეროთი.

- ქართული ფოლკლორული სიმღერის სადამოები
- ქართული ნაციონალური ცეკვის სადამოები
- ქართული პოპულარული მუსიკალური ჯგუფების კონცერტები
- კარაოკე
- სხვა გასართობი ღონისძიებები

5. იტალიური რესტორანი *Bella Italia*

იტალიური რესტორანი *Bella Italia* მომხმარებელს სთავაზობს:

- მრავალფეროვანი იტალიური კერძები
- იტალიური ხასიათის ინტერიერი
- მყუდრო გარემო
- სასიამოვნო მუსიკა
- ალკოჰოლური სასმელების ფართო არჩევანი

6. საცურაო აუზები

დამსვენებელს შეუძლია ისარგებლოს კეთილმოწყობილი საცურაო აუზებით, რომელიც ივსება ბუნებრივად თბილი, თერმული წყლით.

საცურაო კომპლექსში შედის:

- აუზი მოზრდილთათვის
- აუზი პატარებისთვის
- კაფე ბარი
- ფრენბურთის სათამაშო მოედანი

აუზები განთავსებულია ღია ცის ქვეშ, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში.

7. ინფრასტრუქტურა

- სამკურნალო წყაროები
- სპორტული მოედანი
- ღია სატრენაჟორო სივრცე
- ანიმაცია ბავშვებისათვის
- ბავშვების გასართობი სკვერი
- ტირი
- მაგიდის ჩოგბურთი
- სუპერმარკეტი
- საირმის საცხოობი
- ადგილი ბარბექიუსთვის
- დაცული ავტოსადგომი
- სანაყინე

8. მინერალური წყლები

- **ბიუვეტი № 1** : შარდ - კენჭოვანი დაავადებები (თირკმლის ქორნიკული დაავადებები, მარილოვანი დიათეზი, ასევე მკურნალობა პროფილაქტიკური მიზნით).
- **ბიუვეტი № 2** : ნაღვლ - კენჭოვანი დაავადებები (ქრონიკული ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატიტი არაგამწვავებული ფორმით, ასევე მკურნალობა პროფილაქტიკური მიზნით).
- **ბიუვეტი № 3** : ნივთიერებათა ცვლის მოშლა (შაქრიანი დიაბეტი, მარილოვანი დიათეზი, ართროზი, ოსტეოქონდროზი).
- **ბიუვეტი № 4**: კუჭ - ნაწლავის დაავადებები (წყლულოვანი დაავადებები, მომატებული ან დაქვეითებული მჟავიანობა, კოლიტი).

9. პოლიკლინიკა

კურორტ საირმეში ფუნქციონირებს სადღეღამისო პოლიკლინიკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური აპარატურით.

სამედიცინო მომსახურება:

- ულტრასონოგრაფიის კაბინეტი
- აფთიაქი

შპს „კურორტი საირმე“ მმართველობის ანგარიშგება

- უროლოგიური კაბინეტი
- ენდოკრინოლოგიური კაბინეტი
- კარდიოლოგიური კაბინეტი
- თერაპიული კაბინეტები

პოლიკლინიკაში დამსვენებელს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები და სხვა მომსახურე პერსონალი. ექიმთან პირველადი კონსულტაცია უფასოა.

10. *სარეაბილიტაციო ცენტრი და თერმული აბაზანები*

სარეაბილიტაციო ცენტრში შესაძლებლობა გეძლევათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან ჩაიტაროთ სამკურნალო პროცედურები, რაც თქვენი ჯანმრთელობის საწინდარია. უზარმაზარი კომპლექსი გთავაზობთ ყველა სახის სარეაბილიტაციო გამაჯანსაღებელ პროცედურებს.

სპა ცენტრის პროცედურები:

- აბაზანები მინერალური წყლით და ექსტრაქტებით
- წყალქვეშა მასაჟები
- სამკურნალო პროფილაქტიკური პროცედურები
- სამკურნალო პროფილაქტიკური მასაჟები

სარეაბილიტაციო პროცედურების უმრავლესობა ტარდება თერმული წყლის გამოყენებით, თერმული წყარო 1500 მეტრის სიღრმიდან ამოედინება და მისი ტემპერატურა 43⁰ შეადგენს. საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტისა და გერმანელი სპეციალისტების მიერ დადგენილია, რომ საირმის თერმული წყალი ხასიათდება მაღალი თერაპიული ეფექტურობით.

5. შიდა სტრუქტურა

კომპანიას მმართველობაში ყავს: დირექტორი, რომლის სტრუქტურულ დაქვემდებარებაშია: ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, იურისტი, მიღება-განთავსების დეპარტამენტი, კვებისა და სასმელების დეპარტამენტი, სამეურნეო დეპარტამენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამედიცინო დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი, გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტი, დასუფთავების დეპარტამენტი უსაფრთხოების დეპარტამენტი. ყველა ამ სტრუქტურულ დანაყოფს მართავს შესაბამისი მენეჯერი.

6. სამომავლო გეგმები

კურორტი „საირმე“ 2018 წელს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტის განხორციელებას ისახავს, რომელზე მუშაობაც 2017 წლის ბოლოდან დაიწყო და გულისხმობს კურორტის რებრენდინგსა და არსებული ინფრასტრუქტურის სრულად განახლებას ახალი ბრენდ პლატფორმის შესაბამისად. რებრენდინგის პროცესში, კურორტი გეგმავს ბაზარზე არსებული წარმატებულ სარეკლამო კომპანიებთან თანამშრომლობას და არ გამოირიცხავს უცხოელი კონსულტანტების მოწვევას, რათა გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილება.

კურორტზე იგეგმება:

- სასტუმრო „საირმის“ სრული რენოვაცია, რაც გულისხმობს 152 ოთახის განახლებასა და ახალი ავეჯით აღჭურვას. ლობის გაფართოებასა და თანამედროვე სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას. სასტუმროსთვის ლიფტის დამატებას, საიდანაც გადაიშლება საირმის ულამაზესი ხედები და რაც მთავარია უნარშეზღუდული პირებისთვის გადაადგილების პრობლემას მოხსნის. ასევე, კურორტის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ყველა სტანდარტი შშმ პირების უსაფრთხო გადაადგილებისთვის.
- „უდაბნოს“ ტერიტორიის სრულად ათვისებას, რაც გულისხმობს როგორც ადგილის სახელის ცვლილებას, ასევე მის კეთილმოწყობას. „უდაბნოში“ არსებულ 80 ოთახიან სასტუმროში იგეგმება საერთაშორისო სასტუმროს შემოყვანა, რაც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს კურორტის მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობას და მოიზიდავს კიდევ უფრო მეტ უცხოელს დამსვენებელს კურორტზე.
- 1571 კვ.მ სპა ცენტრის განახლება, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გერმანული ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური აპარატურით.
- მზარეულების ახალი გუნდის მოწვევა, რომელიც კურორტზე არსებულ საკვებ ობიექტებს უფრო მეტად გაამდიდრებენ ევროპული და ქართული სამზარეულოთი.
- კურორტის „გაახალგაზრდავების“ მიზნით სხვადასხვა საინტერესო გასართობი აქტივობის დამატებას:
 - ზიპ-ლაინი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში იქნება ყველაზე გრძელი და დაეშვება საირმის ულამაზესი ტყეში;
 - თოკების ქალაქი;
 - კვადრო ტურები, ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის;

სასროლეთი, სადაც დამსვენებლებს საშუალება ექნებათ გაერთონ სამიზნე თევზებზე თოფის სროლით.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები

შპს „კურორტი საირმე“ თავის საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი ასევე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს საკრედიტო რისკიც, სესხის აღებამდე კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს ქვეყნის წამყვან ბანკების მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე წინადადებას და იღებს მათგან საუკეთესოს, მუდმივად თვალყურს ადევნებს ქვეყნის საბანკო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს, პერიოდულად გადასინჯავს საკუთარ არსებულ საკრედიტო პირობებს და ცვლის მათ უფრო შესაფერისით. დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შპს „კურორტი საირმე“-ს საქმიანობისთვის. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს დებიტორული დავალიანების მონიტორინგი. კომპანია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხანდაზმული ან საექვო დებიტორულ დავალიანებებზე ქმნის რეზერვს ყოველ საანგარიშო წლის ბოლოს, რომელსაც გადასინჯავს დებიტორული დავალიანების ცვლილების მიხედვით ყოველი მომდევნო საანგარიშო წლის ბოლოსათვის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ექვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს „კურორტი საირმე“-ს
დირექტორი:

თორნიკე მდივნიშვილი

შპს „კურორტი საირმე“
მმართველობის ანგარიშგება

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები

შპს „კურორტი საირმე“ თავის საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი ასევე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს საკრედიტო რისკიც, სესხის აღებამდე კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს ქვეყნის წამყვან ბანკების მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე წინადადებას და იღებს მათგან საუკეთესოს, მუდმივად თვალყურს ადევნებს ქვეყნის საბანკო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს, პერიოდულად გადასინჯავს საკუთარ არსებულ საკრედიტო პირობებს და ცვლის მათ უფრო შესაფერისიტ. დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შპს „კურორტი საირმე“-ს საქმიანობისთვის. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს დებიტორული დავალიანების მონიტორინგი. კომპანია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხანდაზმული ან საექვო დებიტორულ დავალიანებებზე ქმნის რეზერვს ყოველ საანგარიშო წლის ბოლოს, რომელსაც გადასინჯავს დებიტორული დავალიანების ცვლილების მიხედვით ყოველი მომდევნო საანგარიშო წლის ბოლოსათვის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ექცის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს „კურორტი საირმე“-ს
დირექტორი:

თორნიკე მდივნიშვილი



[Type text]

Page 35